



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-107/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა.ა.ი.პ.
„ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები“ დამკვირვებლის რეგისტრაციის გაუქმების
თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 1 სექტემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.ა.ი.პ. „ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები“ ხელმძღვანელის გია გარსევანიშვილის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 1 სექტემბერს განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №2670) შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. გაუქმდეს რეგისტრაცია „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა.ა.ი.პ. „ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები“ დამკვირვებლების რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2018 წლის 28 აგვისტოს №02-088/2018 განკარგულებით რეგისტრირებულ დამკვირვებელს - №2 ლევან თანანაშვილს.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი